ბაფის გამგეობის თავმჯდომარის მიერ სხდომაზე (06.12.22) გაკეთებული განცხადება და სამსჯელოდ გატანილი საკითხები

პატივცემულო გამგეობის წევრებო!

ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენ, როგორც ბაფის დღევანდელი ხელმძღვანელობა - მოვალე ვართ ვუპასუხოთ ჩვენს წევრებისა და დაინტერესებულ მხარეთა შეკითხვებს კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით და ეს წარვმართოთ პროფესიული პასუხისმგებლობითა და ეთიკური მოთხოვნების დაცვით: სამართლიანად და მიუკერძოებლად სუბიექტური შეფასებების და პიროვნების დისკრედიტაციის გარეშე,

მაგრამ ასევე ვალდებული ვართ ჩვენი წევრებისა და ამომრჩევლების წინაშე ვუპასუხოთ იმ საჯარო განცხადებებს, შეფასებებსა და ბრადებებს, რომელიც გამგეობის წევრის ბატონ მურად ნარსიას მიერ ჟურნალ ,,ააფ-ში“ გამოქვეყნებულ წერილსა **(„მხარს არ ვუჭერ ბაფის დამოუკიდებლობის დაკარგვის მცდელობას“)**(დანართი N2)) და წევრებისადმი ელ ფოსტაზე დაგზავნილ მიმართვაშია (დანართი N3) გაჟღერებული.

პატივცემულო გამგეობის წევრებო, გთავაზობთ ცალ-ცალკე ვიმსჯელოთ ამ ორ საკითხზე.

კოლეგებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ბატონმა მურად ნარსიამ 16 ნოემბერს, ბაფის გამგეობას მიმართა წერილით, (დანართი 1) რომელსაც თან დაურთო ცალკე **ფაილით ,,მ. ნარსიას მოსაზრებები და რეკომენდაციები წესდების ცვლილებებზე“**(დანართი N2) და ითხოვა:

,, მ.ნარსიას ამ წერილზე თანდართული რეკომენდაციები, აგრეთვე ამ საკითხზე ჩვენი კოლეგების-ბაფის სხვა წევრების რეკომენდაციები და მოსაზრებები, შესაძლო მოკლე დროში, აცნობოთ ბაფის თითოეულ წევრს (უკუკავშირით დადასტურების ფორმატში. გზავნილისას, მადლობელი ვიქნები თუ ჩამსვამთ სისიში იმ მიზნით, რომ მქონდეს ინფორმაცია პროცესზე) და ბაფის მენეჯმენტმა, სხვადასხვა ფორმატში, შესაძლო მოკლე დროში დააორგანიზოს შესაბამისი შეხვედრები ბაფის წევრ სხვადასხვა ჯგუფებთან და უზრუნველყოს ამ პროცესში წევრების მაქსიმალური ჩართულობა. ასევე არ იქნება ურიგო ჩემი და სხვა დაინტერესებულ წევრთა პოზიციები გამოქვეყნდეს ბაფის უავტოროდ დარჩენილ ჟურნალში, ვეფ გვერდზე და სხვაგან **ისე, რომ არ შეილახოს ბაფის რეპუტაცია.“**

ბატონო მურად, ზემოთ ხსენებული მასალების გაცნობის შემდეგ თქვენთან რამოდენიმე შეკითხვა მაქვს და გთხოვთ გვიპასუხოთ გულწრფელად:

შეკითხვა 1. რა მიზანს ემსახურებოდა **16 ნოემბერს** თქვენს მიერ ამ წერილის დაგზავნა ბაფის წევრებთან, მისი განხილვისათვის და შესაძლო მოკლე დროში**, ბაფის რეპუტაციის დაცვის** უზრუნველყოფით გასაჯაროებისათვის, მაშინ, როცა გაცილებით ადრე, თქვენ ზუსტად ამ წერილის ორიგინალი ოღონდ სხვა სათაურით **,,მხარს არ ვუჭერ ბაფის დამოუკიდებლობის დაკარგვის მცდელობას“**, წარდგენილი გქონდათ ჟურნალ **ააფ**-ის რედაქციაში, რომელიც დასაბეჭდად ხელმოწერილია **15 ნოემბერს?**

ბატონ მურად, თქვენს მიერ ბაფის წევრებთან სერიულად დაიგზავნა წერილობითი მიმართვა, რომელიც 25 ნოემბერს ჩემი აუდიტორული ფირმის ელ.ფოსტაზეც შემოვიდა (დანართი 3).

შემდეგი შეკითხვების დასასმელად გამოვიყენებ თქვენს მიერ გამგეობისადმი მიმართვის წერილსა (დანართი 1) და საჯაროდ გავრცელებულ (დანართი 2, დანართი 3) ინფორმაციებში თქვენს მიერ წამოჭრილი საკითხების (საკითხებს, როცორც ვთქვით ცალკე განვიხილავთ) ალბათ, უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის გამოყენებულ გამონათქვამებს, შეფასებებსა და ბრალდებებს:

ა) გამონათქვამები და შეფასებები ბაფის წევრების, ამომრჩევლებისა და გამგეობის წევრების მიმართ:

ზოგიერთი ისე ამოწურავს არჩევიდან საქმიანობის ორწლიან პერიოდს, რომ ეს, ვთქვათ 170 ბაფის წევრის ხმით მანდატის მქონე გამგეობის წევრი ვერც გაიცნობიერებს თუ რას აკეთებდა (შესაძლოა იმასაც, თუ სად იყო) მთელი ორი წელი. ანუ ის იქცევა **ბრმა იარაღად,** რიგი შესაძლო არასწორი და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების „გამტარად“, შეთავაზებული გამგეობის სხდომის პროექტზე ბრმა ხელმომწერად, რომელიც მიუღებელიცაა და **საშიშიც შესაძლო „სიბრიყვის“ მაღალი ხარისხის გამო. (დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

„დიდი ოთხეულისაგან“ ერთი მაინც იყოს გამგეობაში, რადგან ამ წარმომადგენლის საქმიანობა გამგეობაში აამაღლებს გამგეობის პროფესიულ თამასას, მართვის კორპორატიულ დონეს, ეთიკას და ხელს შეუშლის **პრიმიტივიზმის/პროვინციალიზმის ატმოსფეროს** (გარემოს) ფორმირებას.**(დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

ბაფის მენეჯმენტი **და გამგეობის ზოგიერთი წევრი იმ დონეზეა „დასული“, რომ ბედავენ** და ბაფის გამგეობის წევრებს (ავიწყდებათ რა საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციები), მიუღებლად მიაჩნიათ გამგეობის წევრების, სხვა პირების მიერ ბაფის წესდებაში ცვლილებების ავკარგიანობაზე წევრებთან განხილვებთან დაკავშირებული შეხვედრები და ამას პირდაპირ საოქმო გადაწყვეტილებაში აფიქსირებენ, რომელიც ქმნის გარემოს ბაფის წევრების მიერ 2022 წლის 24 დეკემბრის კრებაზე გაუცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის. **(დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

ამ მოსაზრებისადმი გამგეობის რამოდენიმე წევრისაგან **აგრესიულად**, მთელი კატეგორიულობით გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება იმის დასტურია, რომ ღიად რჩება ბაფის გამგეობის წევრების შემადგენლობაში ბაფის წევრი დომინანტი წევრების (ერთი კომპანიიდან 2, 3 ან 4 ადამიანის შემადგენლობით) **კლასტერის ანუ ჯგუფური ინტერესის ფორმირების** შესაძლებლობის საკითხი, **(დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

ჩემის აზრით, ეს არის **თურქმენეთიზაციისაკენ მიმავალი გზა,** ინსტიტუციონალური შეუთავსებლობა, **(დანართი 3 – „მიმართვა ბაფის წევრებს“)**

შეკითხვა 2: ბატონო მურად, თვლით თუ არა, რომ ზემოთ - ა) ნაწილში მოტანილი თქვენი საჯარო გამონათქვამები და შეფასებები, ზიანს აყენებს გამგეობის წევრების, დამფუძნებლების (მოქმედი აუდიტორების) რეპუტაციას - ღირსების, ავტორიტეტის, პრესტიჟის შებღალვით და საფრთხეს უქმნის - ბაფის წევრების, ამომრჩევლების მხრიდან და ასევე არსებული თუ პოტენციური დამკვეთების მხრიდან, მათ მიმართ ნდობას.

ბ) მოსაზრებები გამგეობის წევრებისა და დამფუძნებელთა ქმედებების მიმართ:

ბაფის წესდებაში ის ცვლილებები, რომელიც, ამ სფეროში **„მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკით“ „შეფუთული“ ფორმით, ინიცირებული იყო ბაფის რამოდენიმე დამფუძნებლისა და ბაფის გამგეობის ამჟამინდელი თავმჯდომარის მიერ (დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

ეს ჩანაწერი, ამ რედაქციით **ნიშნავს სპეციალურად მოფიქრებულ და ორგანიზებულ შეღუდვის ბარიერს, დისკრიმინაციას** ბაფის იმ წევრებისათვის, რომლებიც არ არიან ბაფის კორპორატიულ წევრ კომპანიაში დასაქმებული და არ არიან რეგისტრირებული ინდივიდუალურ აუდიტორად saras.gov.ge-ზე. .....ანუ **აუდიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის დისკრიმინაციის დადასტურებული ფაქტი სახეზეა. (დანართი 2 – ჟურნალი ,,ააფ“)**

იმედია ეს შეხვედრები არ იქცევა ემოციების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების გარეშე, **საუკეთესო პრაქტიკის არცოდნის** (ან ამ პრაქტიკის არასწორი ინტერპრეტირების), **განჭვრეტის უნარისაგან დაცლილი, სისტემურად გაუაზრებელი მოსაზრებების, პიროვნული, მიკერძოებული, ცალკეული ინტერესჯგუფების სურვილების, ფარული ზრახვების დემონტრირების არენად. (დანართი 1 -წერილი გამგეობას)**

არ მომწონს ისეთი ბაფი, მისი ისეთი **გამგეობა, რომელიც არ გვავითარებს და არც თვითონ ვითარდება,** ბაფის **ისეთი დამფუძნებლებიც (რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეთ მათ), რომლებიც თავისი ნებით(თუმცა, შესაძლოა იცვლებოდეს რაღაცაზე და რა არის ეს რაღაცა ჩვენ არ ვიცით, ამ საკითხზე დასმულ კითხვაზე რეალურ პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ), თმობენ ბაფის უნიკალურ აქტივს- დამოუკიდებლობას (დანართი 3, ,,მიმართვა ბაფის წევრებს“)**

ჩემის აზრით, ეს არის **თურქმენეთიზაციისაკენ მიმავალი გზა,** ინსტიტუციონალური შეუთავსებლობა, **(დანართი 3, ,,მიმართვა ბაფის წევრებს“)**

შეკითხვა 3: უშვებთ თუ არა, რომ ბაფის გამგეობის წევრებისა და დამფუძნებელთა მიმართ, ზემოთ ბ) ნაწილში მოტანილი - მტკიცებითი ფორმით გაცხადებული მოსაზრებები, მათ მიმართ საჯაროდ წაყენებული ბრალდებებად შეიძლება იქნას კვალიფიცირებული.

გ) ტყუილი კომენტარი

წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.7.4: ექვსი წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტური ფირმებიდან (გარდა „დიდი ოთხეულისა“) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან. ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:
ეს ჩანაწერი, ამ რედაქციით **ნიშნავს სპეციალურად მოფიქრებულ და ორგანიზებულ შეღუდვის ბარიერს, დისკრიმინაციას ბაფის იმ წევრებისათვის, რომლებიც არ არიან ბაფის კორპორატიულ წევრ კომპანიაში დასაქმებული** და არ არიან რეგისტრირებული ინდივიდუალურ აუდიტორად saras.gov.ge-ზე. ეს შეზღუდვა შეეხება ბაფის წევრ თითქმის 78 აუდიტორს („თითქმის“ იმიტომ აღვნიშნე, რომ ბაფი ამ მონაცემებს წევრებზე არ აანალიზებს, ბევრ პროცესის მართვისათვის საჭირო და აუცილებელი დოკუმენტსა და ინფორმაციას არ ფლობს, არ ითვალისწინებს IFAC-ის მიერ რეკომენდებულ პროფესიული ორგანიზაციების მართვის საუკეთესო პრაქტიკას - არ ატარებს წევრების გამოკითხვებს მათი საჭიროებებზე, მიაჩნიათ, რომ ამას კარგად აკეთებს „სარასი“ და ეს სრულიად საკმარისია) ანუ **აუდიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის დისკრიმინაციის დადასტურებული ფაქტი სახეზეა.**

ჩემ მიერ ამ ნორმის 2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე გააქტიურების მიუხედავად, ბაფის გამგეობამ წესდების ცვლილების პროექტში შესაბამისი ცვლილებისათვის დღემდე ვერ მოიცალა. ეს მუხლი, ამ რედაქციით თუ დარჩა, ცუდია ფედერაციის განვითარებისათვის, მისი წევრების ინფორმაციის ვაკუუმში, ათასი გამოწვევების ამარა, დაუცველ გარემოში დარჩენისათვის!

შეკითხვა 4: შეკითხვა შეეხება მეორე აბზაცს. წესდების პროექტის ეს ცვლილება ხომ, 19 ოქტომბერს, სხომაზე დამსწრე ყველა წევრის (მათ შორის თქვენი) სრული მხარდაჭერით განხორციელდა, დაოქმდა და ჟურნალ ,,ააფ"-შიც თქვენი წერილის დანართად შეცვლილი ვარიანტით არის წარმოდგენილი. ბატონო მურად, როგორ ახსნით ამ ტყუილი კომენტარის, თანაც ასე დრამატიზებულად წარმოდგენას.

შეკითხვა 5: ბატონო მურად, თვლით თუ არა, რომ თქვენს მიერ საჯარო ფორმით ზემოდხსენებული განცხადებებით, შეფასებებითა და ბრალდებებით **,,შეილახა ბაფის რეპუტაცია"** და **როგორ გავიგოთ** თქვენი თხოვნა გამგეობის წევრებისადმი დაგზავნილ წერილში, რომ თქვენი და ყველა დაინტერესებული მხარეთა პოზიციები გამგეობას გაესაჯაროებინა, ისე, რომ **,,არ შელახულიყო ბაფის რეპუტაცია"**

შეკითხვა 6: ბატონო მურად, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს ბაფის წევრისათვის, მითუმეტეს გამგეობის წევრისათვის შეუფერებელი ქცევაა და შეუსაბამოა ბაფის წევრისადმი წაყენებულ ეთიკურ მოთხოვნებთან.